

#102

ლაშა გიორგის მემკვიდრის საკითხისათვის

ჟამთააღმწერლის ცნობით, გიორგი IV სიკვდილის წინ დაუბარებია, რომ მის შემდეგ გაემეფებინათ მისი და რუსუდანი, რომელსაც უნდა აღეზარდა ძმისწული დავითი, ხოლო როდესაც დავითს შეეძლებოდა მეფობა და მხედრობა, ის უნდა დაედგინათ მეფედ და ლაშას მემკვიდრედ.¹ მაშასადამე, ამ ანდერძის მიხედვით, რუსუდანს მხოლოდ მცირეწლოვანი მემკვიდრის² მეურვეობა და ქვეყნის დროებითი გამგებლობა ეკისრებოდა. მართალია, ქართული სახელმწიფო სამართლით მეფის უკანონო შვილს ტახტის დაკავების უფლება არ ჰქონდა³, მაგრამ ლაშა გიორგისა და მის თანამოასაკეთა შეხედულებებსა და აზროვნებაში, საზოგადოდ, ტრადიციული მსოფლმხედველობისათვის შეუფერებელი ახალი ნიშნები შეიმჩნევა⁴ და ამის გამო, არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ ლაშა გიორგის თავის უკანონო შვილის გამეფება მოეწადინებინა.

აღსანიშნავია, რომ XIII ს–ის სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკეცი ტახტის კანონიერ მემკვიდრედ თვლის ლაშას ძეს და არა რუსუდანს⁵. მაგრამ რადგან კირაკოსი არას ამბობს იმაზე, რომ დავითი ლაშას უკანონო შვილი იყო და თანაც დავით ლაშას ძის აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთში მეფობისას მოღვაწეობდა, იგი ამ შემთხვევაში შეიძლება ტენდენციური იყოს.

აკად. ივ. ჯავახიშვილს ლაშას ანდერძი მისი აზროვნებისათვის მეტად დამახასიათებლად ესახებოდა, მაგრამ სხვა წყაროების ჩვენებათა საფუძველზე ასკვნის, რომ ცნობა ამ ანდერძის შესახებ საეჭვო ჩანს და ლაშას ძის ზღაპრულ თავგადასავალთან ერთად მერმინდელი შენათხზი უნდა იყოს დავით ულუს

¹ ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 166–167; ჟამთააღმწერელი შემდგომაც რამდენჯერმე ახსენებს ლაშას ანდერძს და აღნიშნავს, რომ რუსუდანმა არ შეასრულა ძმის დანაბარები (იქვე, გვ. 180, 199);

² თუ არ ვცდებით, ლაშას ძის დაბადების თარიღის შესახებ მოგვეპოვება მხოლოდ ერთადერთი ცნობა, რომლის მიხედვით დავითი დაბადებულა 1216 წ. (იხ. ა. აბდალაძე, XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის შესწავლისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1974, 2, გვ. 145), ე.ი. მამის გარდაცვალების დროისათვის იგი 6–7 წლის ყმაწვილი უნდა ყოფილიყო.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1966, გვ. 130.

⁴ ვ. გაბაშვილი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ჟამთააღმწერლის ერთი ცნობის განმარტება), კრებული: „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, I, 1966, გვ. 161; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30, 33.

⁵ Կիրակոս Գանձակեցի, Պատմութիւն Հայոց, Թիֆլիս, 1909. გვ. 273

მომხრეთა წრეებში, რომელთაც ამით უნდოდათ გაეტეხათ „რუსუდანისა და მისი შვილის სახელი და მეფობის კანონიერება“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ჟამთააღმწერელს „როგორც ეტყობა, ამის შესახებ ლაშა–გიორგის ძის დავითის მომხრე წრის აზრთა გამომხატველი ისტორიკოსის ცნობებით უსარგებლია და მისივე შეხედულება აქვს შეთვისებული“⁶.

ცნობა ლაშას ანდერძის შესახებ გვიანდელი შენათხზი რომ უნდა იყოს, ამას ივ. ჯავახიშვილს აფიქრებინებდა შემდეგი: ა. „ლაშა გიორგის დროინდელი

#103

მემატიანე, ჭაბუკი მეფის თანამოაზრე და მაქებელი, მის მცირეწლოვან ძეს არ იხსენიებს, დავითის ტახტის მემკვიდრედ დატოვების შესახებაც არაფერს ამბობს და მხოლოდ რუსუდანზე ამყარებს საქართველოს სახელმწიფოს მთელ იმედებს“: ბ. ჯერ კიდევ 1246–47 წ. დავით ლაშას ძისა და დავით რუსუდანის ძის მომხრე, ერთმანეთისადმი დაპირისპირებული წრეებისაგან პლანო კარპინის მხოლოდ ის შეუტყვია, რომ ლაშას თავისი უკანონო შვილისათვის სამეფოს ერთი ნაწილი დაუტოვებია⁷.

უნდა აღინიშნოს, რომ პლანო კარპინის ცნობებში, საქართველოს სამეფო ტახტის ორ მაძიებელს შორის დავას რომ შეეხება, ივ. ჯავახიშვილს მრავალი უზუსტობა და ბუნდოვანება აქვს შენიშნული⁸. ჩვენ ამ უზუსტობებს აღარ ჩამოვთვლით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თუ ერთ შემთხვევაში სამეფოს მხოლოდ ნაწილის მფლობელად თვლის დავით ლაშას ძეს „დაუმორჩილეს, როგორც უფროსს, რომელსაც უბრძანეს წყნარად და მშვიდობიანად დაუფლებოდა მამის მიერ დატოვებულ სამკვიდროსო“⁹, ლაშას ძეს უნდა გულისხმობდეს მამამისის, ვითარცა „ყოველი საქართველოს“ მეფის მემკვიდრედ. თუ ეს ასეა, მაშინ ლაშას ანდერძის უარსაყოფად პლანო კარპინის ცნობის გამოყენება გაძნელებია.

ივ. ჯავახიშვილის მიერ მოტანილი პირველი არგუმენტი კი მეტად დამაფიქრებელია. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, როგორც ჩანს, სამეფო ტახტის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ, მართლაც, რუსუდანს და მის შთამომავლობას მიიჩნევს და მათ კეთილდღეობას უკავშირებს ქვეყნის ბედს: „ღმერთმან ყოვლისა სახიერებისამან, რომელი არა განსწირავს მოშიშთა მისთა, დაიცავნ სამეფო ესე და მეფე ჩუენი ღმრთივგვირგვინოსანი რუსუდან, და ყავნ

⁶ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38, 132.

⁷ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38;

⁸ იქვე, გვ. 109, 113, 132–33;

⁹ პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“. ნაკვ. II, 1942, გვ.37;

ნაყოფი მისი ჩუენდა სალხინებლად თესლითი თესლადმდე, და მიეცინ სიმრავლე წელიწადთა¹⁰.

ლაშა გიორგის დროინდელი მემატეანის ცნობათა ხასიათის შესახებ ჩვენ ქვემოთ აღვნიშნავთ, აქ კი მოვიტანთ 1232 წ. გადაწერილი ერთი სომხური სახარების ანდერძ–მინაწერის ცნობას, რომელშიც, ჩვენი აზრით, რუსუდანი მეფედ არაა მიჩნეული: „...დაიწერა ეს [სახარება] სომეხთა წელთაღრიცხვის „ომა“-ს (1232 წ.) კაიენის მხარეში, სახელგანთქმულ გეტეკის წმინდა მონასტერში, წმინდა ღვთისმშობლის და წმინდა გრიგორ განმანათლებლის შეწევნით, ცოდვილი სტეფანოსის ხელით, ერისთავთ–ერისთავის ათაბაგ ივანესა¹¹

#104

და მისი ძის ავაგის მთავრობის ჟამს და რადგან ქართველებს მეფე არ ჰყავდათ, მეფის მაგივრობას თამარის ასული ასრულებდა¹²“...

სომხური – „ასნქუ დაჰოიასკაჲსაჲსიჲსი იუსთიჲსი ჟასარქინ“– ჩვენ ვთარგმნეთ ასე: „მეფის მაგივრობას თამარის ასული ასრულებდა“. ამგვარად თარგმნის უფლებას გვაძლევდა ისიც, რომ ანდერძის ავტორი სტეფანოსი მკაფიოდ ამბობს, ქართველებს მეფე არ ჰყავდათო (ჟრასე ჟასკაჲსი იჲ ციჲ). შესაძლოა ვიფიქროთ, სტეფანოსი გულისხმობს, რომ ქართველებს იმ დროს არ ჰყავდათ კაცი მეფე (ჟასკაჲსი) და ეს ცნობა არ გამორიცხავს, რომ მათ ჰყავთ ქალი მეფე, დედოფალი (ჟასკიჲსი). მაგრამ არა ერთი და ორი მაგალითი გვაქვს ისეთი, როდესაც სომხურ წყაროებში ჩვენი მეფე ქალები, თამარი და თვით რუსუდანიც იხსენებიან, როგორც „ჟასკაჲსი“ (მეფე) და არა როგორც „ჟასკიჲსი“ (დედოფალი)¹³. ამის გამო, ვფიქრობთ. ანდერძ–მინაწერის ავტორი არ იტყობდა: „ჟრასე ჟასკაჲსი იჲ ციჲ“ („ქართველებს მეფე არ ჰყავდათ“). სომხურ მწერლობაში ჩვენ არ გვეგულება არც

¹⁰ ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 371 (ხაზი ჩვენია.–ა. ა.).

¹¹ მართალია, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ივანე ათაბაგის გარდაცვალების თარიღად ვხვდებით 1227 (იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.56) და 1225 წელსაც (იხ. გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, 1961, გვ. 173), მაგრამ თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ ივანე მხარგმელი გარდაიცვალა არა უადრეს 1233 წლისა (გ. ზიქსეჲსი, ზაჲრასკაჲსი კასი ოიოჲსაჲსი ხაჲიგ აყასიოჲსიჲსი მჲ, ჟაჲარჲჲასაჲსი 1928, გვ.99-101; ჯ. შასანჲსი, ჰინასკან თსეოჲსიჲსი ჯაჲი ოიოჲსიჲსი აყასიოჲსიჲსი, გ. ლესან 1952, გვ. 159).

¹² ჟარეჲსი ო ჟაროჲსიჲსი, შიჲსთასკარასიჲსი ჰნოაჲსი, ო, 1951, გვ.881-84

¹³ იხ. მაგ. ჟირასკიჲსი ჟანდასკეჲსი, ჯაჲიგ აყასიოჲსიჲსი, ლესან. 1961, გვ.215, 224. 315: ჯასარჲსი აყასიოჲსიჲსი ჟაროჲსიჲსი ჟაროჲსიჲსი, ჟინსეჲსი. 1862, გვ. 139; შთესიჲსი ორესესან, ოასიოჲსიჲსი სახანსეჲსი შიჲსასან, ჰიჲსიჲსი, 1910, გვ. 1910, გვ. 342; ჟ. ჟოსანსესან. ჟინასკან თარესეჲსი, ოსესეჲსიჲსი, 1914, გვ. 50, 64;

გვ 6, „ეპისტოლე მხითარ ვარდაპეტისა, რომელსაც გოში ეწოდებოდა“, იხ. ლ. მელიქსეთბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, 1928, გვ. 240, 242.

ერთი ისეთი მაგალითი, სადაც თამარი ან რუსუდანი მეფედ ითვლებოდეს და თან იქვე ეწეროს “*Царя царями и з царя*”

საზოგადოდ, სომხურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების ავტორები, ამ ხანისა მაინც, თანადროული პოლიტიკური ვითარების აღწერისას, კერძოდ, საქართველოს მეფეთა მოხსენიებისას, მეტად სიტყვაძუნწნი არიან და, ამის გამოც, ჩვენი ანდერძ-მინაწერის ავტორი სტეფანოსი რუსუდანს მეფედ რომ თვლიდეს, მაშინ მოსალოდნელი იყო მას უბრალოდ ეთქვა, სახარება დაიწერა თამარის ასულის მეფობის ჟამსო, როგორც ეს 1224 წ. ანდერძშია¹⁴.

„მწერალი“ სტეფანოსი რუსუდანის შესახებ ამბობს, რომ მას ეპყრა “*აჟიოთასკაქიქსი*” („ათორაკალუთიუნ“). ლექსიკონებში არაა აღნიშნული, რომ ეს სიტყვა სამეფო ხელისუფლების ფლობის გამოსახატავად გვხვდებოდეს. ვერც ჩვენ დავძებნეთ ასეთი მაგალითი წყაროებში. არც “*აჟიოთასკა*” („ათორაკალ“), საიდანაც ნაწარმოებია “*აჟიოთასკაქიქსი*”, იხმარება “*ცარადარი*” “*აქყაყ*” („მეფე“)-ის, ან „*ცარდიქი*“ („დედოფალი“)-ის სინონიმად. ჩვეულებრივ „*აჟიოთასკა*“, ისევე როგორც „*თიქაყახი*“ ან „*თიქასკა*“ ეწოდებოდა საკათალიკოსო ტახტის დროებით მპყრობელებს, რომლებიც კათალიკოსის მაგივრობას სწევდნენ მაშინ, როდესაც კათალიკოსი არ იმყოფებოდა ადგილზე, ანდა ერთი კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ სხვა ჯერ არ აერჩიათ. თვით კათალიკოსებსაც ეძახდნენ გრიგოლ განმანათლებლის „ათორაკალებს“, როგორც მის მოადგილეებს¹⁵. ზოგიერთ ლექსიკონში აღნიშნულია, რომ „ათორაკალ“ ზოგჯერ, საზოგადოდაც ნიშნავს „მოადგილეს“, „შემცვლელს“, ხოლო „ათორაკალუთიუნ“ – „მოადგილეობას“¹⁶.

#105

როგორც ჩანს, არ უნდა დაგვაფიქროს იმან, რომ „*აჟიოთასკაქიქსი*“ („ათორაკალუთიუნ“) სიტყვასიტყვით „ტახტის ქონას“, „ტახტის პყრობას“ ნიშნავს. ტახტი მეფის გარდა, დროებით, შეიძლებოდა სხვასაც დაეჭირა. ასე მაგ., მათეოს ურჰაეცის მიხედვით, როდესაც 1067 წ. გარდაიცვალა ბიზანტიის იმპერატორი დუკა, მისი შვილის მცირეწლოვანების გამო „სამეფო ტახტი ერთი წელიწადი მეფის გარეშე დარჩა, ეპყრა სამეფო ტახტი დედოფალს, რომელსაც ევდოკიას ეძახდნენ“¹⁷. მიუხედავად იმისა, რომ დედოფალ ევდოკიას ტახტი

¹⁴ Յիշատակարանք ձեռագրաց გვ. 837–39.

¹⁵ Ս. Մալխասեանց, Հայերէն բացատրական բառառան, 1.

¹⁶ Նորբարգիլիք, Լ. Գ. Փէշտըմալնեան, Բառգիրք հայկազեան լեզուի, Լ. 1844

¹⁷ Մատթէոս Ուրհայեցի, Ժամանակագրութիւն. Վաղարշապատ, 1898, գვ.189- “Կացեսալ աթոռ թագատրութեանն անթագատր զամ մի թագուիին ունելով զաթոռ թագատրութեանն”

უჭირავს, მათეოსი მას ქვეყნის მხოლოდ დროებით გამგებლად თვლის¹⁸. საზოგადოდაც ცნობილია, რომ ევდოკია ერთი წლის მანძილზე მართავდა ქვეყანას, ვითარცა რეგენტი¹⁹.

საყურადღებო უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ „სიქაყახი“, რომელიც ხშირად იხმარება „აქოიასკა“ („ათორაკალი“)–ის სინონიმად, ხანდახან აღნიშნავს „მეფის შემცვლელს“, „მეფის მოვალეობათა დროებით აღმასრულებელს“, ხოლო „სიქაყახიოქისი“ „მეფის შეცვლას“, დროებით მეფის მოვალეობების შესრულებას²⁰.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ზაქარია მხარგრძელის შესახებ „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის სიტყვები „...მჯდომსა სომეხთა მეფისა ადგილსა“, აკად. ა. ჰოვანისიანს ასე უთარგმნია: „...հայոց թագաւորի արքայակա“ (სომეხთა მეფის „ათორაკალი“)²¹. ალბათ, ა. ჰოვანისიანმა ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობა იგულისხმა, თორემ თანამედროვე სომხურ ენაში იგი ასეთი მნიშვნელობით არ უნდა იხმარებოდეს²². მაშასადამე, სომეხთა მეფის ადგილზე მჯდომი ამ მეფის „ათორაკალი“ ყოფილა.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ვასკვნით, რომ ანდერძ–მინაწერის ავტორი სტეფანოსი რუსუდანს მეფედ არ თვლის. იგი მას მეფის შემცვლელად მიაჩნია.

ამრიგად, აზრი რუსუდანის მეფობის უკანონობის შესახებ წარმოქმნილი ჩანს უკვე 1232 წლისათვის და არა 1246–47 წლის შემდგომ.

საზოგადოდ, გიორგი IV-ის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტის მემკვიდრის საკითხი არსებული მასალების საფუძველზე ჩვენ ასე წარმოგვიდგება: ლაშა გიორგის მეფობის ჟამს და შემდგომაც საქართველოს წარჩინებულთა შორის არსებობდა ორი, ერთმანეთისადმი დაპირისპირებული დაჯგუფება. ერთ მათგანში ძირითადად იყვნენ მეფის თანამოაზრენი, „თანამოასაკენი“, ხოლო მეორეში მის დროს შევიწროებული, თამარის ჟამინდელი დიდებულები. მეორე დაჯგუფების მეთაური ივანე ათაბაგი ჩანს. ლაშას დროს შევიწროებულმა ივანე ათაბაგმა არნახული გავლენა მოიპოვა სახელმწიფოში რუსუდანის მეფობის პირველსავე წლებში; როგორც ჩანს, მას დიდი

¹⁸ იქვე.

¹⁹ S. Runciman, Byzantine civilization, London, 1945, გვ. 304;

²⁰ Մատթեոս Ու ռհայեցի, Ժամանակագրութիւն, გვ.340;

²¹ Ա. Հովհաննիսյան, Դրվագները հայ ազատագրական մտքի պատմության. Երևան, 1, 1957, გვ.156-157; Ծճր. Լ. Մելիքսեթ- Բեկ, Վրաց տղայութիւնը Հայաստանի յեկ հայերի մասին, հատ. Բ, Յերեւան, 1936. გვ. 14.

²² Ժամանակակից հայոց լեզվի բացատրական, բարարան, Լ, Երևան, 1969

წვლილი მიუძღოდა რუსუდანის გამეფებაში. ამის გამო, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლაშას თანამოაზრეთა დაჯგუფება წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო რუსუდანის გამეფებისა, მიუხედავად იმისა, მართლაც დატოვა თუ არა ლაშამ ჟამთააღმწერელთან შემონახული ანდერძი. ეტყობა, რუსუდანის მომხრეთა წრეებმა თავისი გაიტანეს, ტახტის ერთადერთ, კანონიერ მემკვიდრედ რუსუდანი და მისი შთამომავლობა გამოაცხადეს. ეს ვითარება უნდა იყოს ასახული ლაშა გიორგის დროინდელ მემატთანესთან. როდესაც მემატთანე წერს, მაშინ ქვეყნის საგარეო მდგომარეობა უკვე რამდენადმე აწეწილია და ასეთ პირობებში, ბუნებრივია, სამეფო ტახტზე მეფის უკანონო შვილის აყვანის მოთხოვნა ისტორიკოსს დიდ მკრებელობად მოეჩვენებოდა. შემდგომ, ეტყობა, საპირისპირო დაჯგუფება გაძლიერებულა²³, როგორც ჩანს, რუსუდანის მმართველობის დროს სამეფოს მთელი რიგი წარუმატებლობის გამოც; ეს გარემოება გამოიწვევდა ამ დაჯგუფების შეხედულებათა, კერძოდ, ტახტის მემკვიდრის საკითხის შესახებ, ფართოდ გავრცელებას და ამის გამო არ უნდა თვლიდეს 1232 წ. ანდერძ-მინაწერის ავტორი რუსუდანს მეფედ.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ.

²³ ალბათ, ძირითადად ამ დაჯგუფების წევრები არიან, დავით ლაშას ძის გამეფებისათვის რომ იბრძვიან მონღოლთა ხანის კარზე.